

**შრომის ხელშეკრულება
(კონტრაქტი)**

ქ. თბილისი

“-----“-----“20 წ.

წინამდებარე შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გათვალისწინებით, აგებულია შრომის თავისუფლებისა და ნებაყოფლობითობის, შრომითი უფლებებისა და შრომის ანაზღაურების გარანტირებულობის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, შრომით ურთიერთობებში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის, საწარმოს ჯანსაღი ფუნქციონირებისა და შრომის დისციპლინის დაცვის პრინციპებზე, განსაზღვრავს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს საწარმოს ადმინისტრაციასა და მოქალაქეს (დაქირავებულს) შორის.

I. ზოგადი დებულებანი

ა) ერთის მხრივ: _____
(შემდგომში დამქირავებელი) ვმოქმედებთ რა კანონმდებლობისა და დამქირავებელის წესდებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მეორეს მხრივ **მოქალაქე (შემდგომში – “დაქირავებული”)**

_____ ვდებთ წინამდებარე შრომის ხელშეკრულებას (შემდგომში – “კონტრაქტი”) შემდეგზე:
/ცნობისათვის: ამ კონტრაქტის მიზნებისათვის “დამქირავებელი” და “დაქირავებული” ერთად იწოდებიან როგორც – “მხარეები”/

II. კონტრაქტის საგანი

ა) კონტრაქტის საგანს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, რომლის თანახმადაც, დამქირავებელი იღებს/ტოვებს სამუშაოდ დაქირავებულს

_____ თანამდებობაზე, _____ ვადით, ხოლო დაქირავებული გამოთქვამს თანხმობას და კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს შრომითი საქმიანობა მითითებულ თანამდებობაზე ამ კონტრაქტით დადგენილი პირობების გათვალისწინებითა და სრული დაცვით.

ბ). მხარეები აღიარებენ, რომ მათი უფლებები და მოვალეობები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, პირველ რიგში რეგულირდება წინამდებარე კონტრაქტით და თანხმდებიან, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ მას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს.

III. ზოგადი დებულება

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, სოციალურ, ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს.
- ბ) ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დამქირავებლის დებულებით და შინაგანაწესით.

IV. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

ხელშეკრულება იღება 200 წლის “ _____” დან 200 წლის “ _____”
_____” მდე 2 (ორი) თვის ვადით.
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

V. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 5.1. დამქირავებელს უფლება აქვს:**
- ა) მოსთხოვოს დაქირავებულს კონტრაქტის, დამქირავებელის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის უპირობო შესრულება, დაცვა და ამ მიზნით კონტროლი გაუწიოს მის საქმიანობას;
 - ბ) დაქირავებულის მიერ ამ კონტრაქტის, დამქირავებელის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს კონტრაქტი, დამრღვევი დაქირავებულის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინარული ღონისძიები, გაანთავისუფლოს დაქირავებული დაკავებული თანამდებობიდან ან სხვა ზომას;
 - გ) დაქირავებულის მიერ თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა და მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის მის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები (მადლობის გამოცხადება; პრემიის მიცემა; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; სამსახურებრივი დაწინაურება და სხვა.);
 - დ) განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომლების უფლებების თვალსაზრისით გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;

5.2. დამქირავებელი ვალდებულია:

- ა) შეუქმნას დაქირავებულს სათანადო პირობები დაკისრებული მოვალეობების დროულად, სრულფასოვნად და ხარისხიანად შესრულებისათვის;
- ბ) იზრუნოს დაქირავებულის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდისათვის;
- გ) ამ კონტრაქტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით მისცეს დაქირავებულს ხელფასი (შრომის ანაზღაურება) დაგვიანების გარეშე;
- დ) დაიცვას და პატივი სცეს დაქირავებულის შრომით უფლებებს;
- ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაქირავებულის ხელფასიდან მოახდინოს ყველა სახის გადასახადისა და სავალდებულო შენატანის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის სახელმწიფო ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში;
- ვ) სამუშაოსთან დაკავშირებული მისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლის (საწარმოო ტრავმა) შემთხვევაში, აუნაზღაუროს დაქირავებულს მიყენებული ზიანი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
- ზ) დაიცვას და ჯეროვნად შეასრულოს ამ კონტრაქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები;

VI დაქირავებულის უფლებები და მოვალეობები

6.1. დაქირავებულს უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა;
- ბ) მოითხოვოს დამქირავებელის ბრალეული ქმედებით გამოწვეული სამუშაოსთან დაკავშირებული მისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას (საწარმოო ტრავმა) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- გ) მოსთხოვოს დამქირავებელს შრომის ანაზღაურება ამ კონტრაქტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- დ) დამქირავებელის ნორმალური და სრულფასოვანი ფუნქციონირების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ასევე ანაზღაურებადი და უხელფასო შვებულებებით;
- ე) გაერთიანდეს პროფესიულ კავშირში;
- ვ) თავისი უფლებების დანაცვაოდ მიმართოს სასამართლოს;
- ზ) მოსთხოვოს დამქირავებელს წინანმდებარე კონტრაქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

6.2. დაქირავებული ვალდებულია:

- ა) დამქირავებელის მიერ შექმნილი სამუშაო პირობების შესაბამისად იმუშაოს კონტრაქტში აღნიშნულ თანამდებობაზე, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები, დამქირავებელის შინაგანაწესი, დამქირავებელის ადმინისტრაციისა და უშუალო ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანებები და მითითებები;
- ბ) დაიცვას შრომის დისციპლინა, უსაფრთხოება, პროფესიული ეთიკის წესები და იზრუნოს დამქირავებელის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;
- გ) გაუფრთხილდეს დამქირავებელის ქონებას, ფასეულობებს, ღირსებას, პატივს, საქმიან რეპუტაციას;
- დ) დადგენილი წესითა და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს მისთვის მინდობილი მოწყობილობები, ხელსაწყოები, დოკუმენტები, ხოლო კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ ეს მასალები დაუბრუნოს დამქირავებელს;
- ე) არ გაამჟღავნოს შრომითი საქმიანობის შედეგად მისთვის ცნობილი და საჯაროობისგან კანონმდებლობით დაცული ინფორმაცია (კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი და სხვა);
- ვ) მკაცრად დაიცვას პირადი თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ზ) სისტემატურად იმუშაოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დამოუკიდებლად და ადმინისტრაციის მიერ მითითებული პროგრამით;
- თ) გაიაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ატესტაცია-სერტიფიკაცია;
- ი) ხელი შეუწყოს ადმინისტრაციას დამქირავებელის საქმიანობის სრულფასოვანი და ხარისხიანი წარმართვისათვის;
- კ) დაიცვას კანონმდებლობითა და ამ კონტრაქტით გათვალისწინებული შრომისა და საქმიანობის სხვა პირობები;

VII. შრომის ანაზღაურების წესი და პირობები

7.1. დამქირავებელი უხდის დაქირავებულს ხელფასს ეროვნულ ვალუტაში შემდეგი წესით:

- ა) მოქმედი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოს სრული მოცულობით (100%-ით) შესრულების შემთხვევაში—დაქირავებული მიიღებს სრულ ანაზღაურებას;
- ბ) სამუშაოს არასრული მოცულობით შესრულების შემთხვევაში—იმ ოდენობით, რა მოცულობითაც შესრულდა სამუშაო საათები, რაც გამოითვლება ამგვარი სამუშაოებისათვის დამტკიცებული განაკვეთების ჯამით;
- გ) სამუშაო საათების შეუსრულებლობის შემთხვევაში—ხელფასის განკვეთი იქნება 0-ის (ნული) ტოლი;

დ) სრულად შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, დამქირავებელი დაქირავებულს შრომის ანაზღაურების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ, ყოველთვიურად უხდის _____ ლარს, ინფლაციის გათვალისწინებით.

ე) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება მოხდება საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ხელფასი უნდა გაიცეს დაგვიანების გარეშე თვეში ერთხელ. ხელფასი გაიცემა, ყოველი თვის 20 (ოცი) რიცხვამდე. დაგვიანების შემთხვევაში ყოველდღიურად დაერიცხება საურავი ხელფასის ოდენობის 2%.

VIII. კონტრაქტის მოქმედების ვადა, ცვლილებები და მოქმედების შეწყვეტა

- 8.1. კონტრაქტის მოქმედების ვადაა -----;
- 8.2. კონტრაქტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ თუ ორივე მხარე არ გამოთქვამს წერილობით პრეტენზიას, კონტრაქტი ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იმავე ვადით;
- 8.3. კონტრაქტში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხარეთა თანხმობითა და წერილობითი ფორმით, ამ კონტრაქტის დებულებათა თავისებურების გათვალისწინებით;
- 8.5. კონტრაქტის შეწყვეტის (მ.შ. ცალმხრივად შეწყვეტის) საფუძვლებია:
 - ა) ვადის გასვლა;
 - ბ) კონტრაქტის პირობების დარღვევა;
 - გ) დამქირავებელის სტაბილური და ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, დამქირავებელის ადმინისტრაციის მიერ საჭირო ღონისძიებების გატარებისათვის ხელის შეშლა და წინააღმდეგობის გაწევა;
 - დ) დაქირავებულის პროფესიული, ჯანმრთელობისა და სხვა ჩვევების (მდგომარეობის) შეუთავსებლობა დაკავებულ თანამდებობასთან;
 - ე) საქართველოს შრომის კანონთა კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
- 8.6 დამქირავებელი კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაქირავებულს უხდის ორი თვის გასამრჯელოს, საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთ მოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საჭმე მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

X. სხვა პირობები

- 10.1. კონტრაქტი ძალაში შედის მხარეების მიერ მასზე ხელმოწერისა და დაქირავებულის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე დამქირავებელის გენერალური დირექტორის სათანადო ბრძანების გამოცემის დღიდან.
- 10.2. საკითხები, რომლებიც პირდაპირ არაა გათვალისწინებული კონტრაქტით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
- 10.3. კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

XI. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

“დამქირავებელი”

“დაქირავებული”

გენერალური დირექტორი:

პირადობის მოწმობა № _____
მისამართი: _____
ტელეფონი: _____
